დადულების თანამედროვე მეთოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დადულებული ლითონისათვის დამახასიათებელია რიგი ფაქტორებისა, რომლებიც კომპლექსში იწვევენ დეტალებზე დატანილი ლითონური საფარის ცვეთამედეგობის მნიშვნელოვან შემცირებას. ეს ფაქტორებია: მექანიკური თვისებების მნიშვნელოვანი გაფანტვა; ჩანართებისა და მეტალურგიული დეფექტების არსებობა; დეტალების სტრუქტურის არაერთგვაროვნება და მათ სიგრძეზე ზედაპირული სისალის არათანაბრობა; არახელსაყრელი გამჭიმი ძაბვების არსებობა; დადულებული დეტალების დადლილობითი სიმტკიცის შემცირება; მექანიკური დამუშავების სირთულე.

აღდგენილი დეტალების ლითონის საფარის ხარისხის და ცვეთამედეგობის ამაღლება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მანქანათმშენებლობის სარემონტო საწარმოებში. დეტალების ცვეთამედეგობის ამაღლება, გარკვეულწილად, მანქანების ხანგამძლეობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

დადულების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს ზედაპირული პლასტიკური დეფორმირება. ზედაპირული პლასტიკური დეფორმირება - ეს არის განმამტკიცებელი დამუშავების სახეობა, რომლის დროსაც არ წარმოიქმნება ბურბუშელა და ხდება ნამზადის თხელი ზედაპირული ფენის პლასტიკური დეფორმირება, და მანქანების ლითონური დეტალების მზიდი უნარის ამაღლების ეფექტური ხერხი. ზედაპირული პლასტიკური დეფორმირების გამოყენება საშუალებას იძლევა ეფექტური გავლენა მოვახდინოთ დეტალების ხანგამძლეობის ამაღლებაზე, რომლებიც მუშაობენ ციკლური დატვირთვების,

ხახუნისა და კოროზიული გარემოების ზემოქმედების პირობებში და რომლებსაც აქვთ ძაბვათა კონცენტრატორები .

ნაშრომის მიზანი. დადუღებული ფენის პლასტიკური დეფორმირების კვლევის თეორიული და ექსპერიმენტალური მეთოდების დამუშავება, დეტალების ბრტყელი ზედაპირების აღდგენისას.

ნაშრომის ძირითადი ამოცანები. მიზნის მიღწევისათვის დასმულია და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები: 1. ცოცვადობის - განმტკიცების ტექნიკური თეორიის საფუძველზე შერჩეულია ამაღლებულ ტემპერატურებზე მასალის მდგომარეობის განტოლება; 2. ჩამოყალიბებულია დადუღებული ფენის ცილინდრული გორგოლაჭით გრძივი მოგორვის ერთგანზომილებიანი ამოცანა, მასალის გორგოლაჭთან კონტაქტის ზედაპირზე კულონის ხახუნის კანონის გათვალისწინებით, და განმტკიცების თეორიის საფუძველზე მიღებულია ფორმულები დეფორმაციის კერაში დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გაანგარიშებისათვის; 3. ჩატარებულია ერთგანზომილებიანი არაწრფივი ამოცანის რიცხვითი ამოხსნა და განისაზღვრა ძაბვათა კომპონენტები, ტექნოლოგიური პროცესის ძალოვანი ფაქტორები Mathcad-ის მათემატიკური რედაქტორის გამოყენებით; 4. განმტკიცების თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დადუღებული ფენის გრძივი მოგორვის ორგანზომილებიანი ამოცანა, მიღებულია კერძო წარმოებულებიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების ჩაკეტილი სისტემა და ჩაწერილია სასაზღვრო პირობები; 5. სასრულ სხვაობათა მეთოდით დამუშავებულია კერძო წარმოებულებიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის ალგორითმი; 6. ჩატარებულია ბრტყელი ზედაპირის აღდგენისას დადუღებული ფენის ხარისხის ექსპერიმენტალური კვლევა.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. განმტკიცების თეორიის საფუძველზე დამუშავებულია გრძივი მოგორვისას დადუღებული ფენის პლასტიკური დეფორმირების არაწრფივი ამოცანების გაანგარიშების მეთოდები. განმტკიცების თეორია აღწერს ფართო კლასის ლითონური მასალების მდგომარეობას ფართო ტემპერატურულ ინტერვალში. დამუშავებულია გამოყენებითი პროგრამა Mathcad-ის სისტემაში დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის და ტექნოლოგიური პროცესის ძალოვანი პარამეტრების გაანგარიშებისათვის, რაც რთული საინჟინრო გაანგარიშებების გამარტივებისა და ავტომატიზირების საშუალებას იძლევა. მოცემულია ბრტყელ ზედაპირზე ფენის დადუღების ტექნოლოგიური პროცესის ექსპერიმენტალური კვლევის მეთოდიკა.

მიღებული შედეგები და დამუშავებული მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნას მანქანათმშენებლობის საწარმოთა პრაქტიკოს სპეციალისტების მიერ ტექნოლოგიური პროცესის პარამეტრების გაანგარიშებისათვის დეტალების დაზიანებული ზედაპირების აღდგენისას. დამუშავებული მეთოდიკები შეიძლება

გამოყენებული იქნას მაღალი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტების სწავლის პროცესში.

დაცვაზე გამოტანილი დებულებები. 1. დადუღებული ფენის გრძივი მოგორვის ერთგანზომილებიანი ამოცანის გაანგარიშების მეთოდიკა, განმტკიცების თეორიის საფუძველზე; 2. დეფორმაციის კერაში ძაბვების კომპონენტებისა და ტექნოლოგიური პროცესის ძალოვანი ფაქტორების გაანგარიშება Mathcad-ის სისტემაში; 3. სასრულ სხვაობათა მეთოდით გრძივი მოგორვის ორგანზომილებიანი ამოცანის გაანგარიშების მეთოდიკა; 4. ბრტყელ ზედაპირზე დადუღების ტექნოლოგიური პროცესის ექსპერიმენტალური კვლევის მეთოდიკა; 5. დადუღებული ფენის ხარისხის შეფასების მეთოდიკა.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები მოხსენებული იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე III International Scientific Conference ENERGY:REGIONAL PROBLEMS AND DEVELOPMENT OPPORTUNITIES (Kutaisi 2015წ.), აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე (2014წ., 2015წ., 2016წ.).

პუბლიკაციები. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავლისაგან, ოთხი ნაწილისაგან, ძირითადი შედეგებისა და დასკვნებისაგან, ლიტერატურის ჩამონათვალისა და დანართებისაგან. დაბეჭდილია კომპიუტერზე. ნაშრომი დაბეჭდილია 101 გვერდზე და შეიცავს 31 ნახაზს, 3 ცხრილს და 1 დანართს. ლიტერატურის ჩამონათვალი მოიცავს 75 დასახელებას.

ნაშრომის შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია დისერტაციის თემის აქტუალობა, ფორმულირებულია ნაშრომის მიზანი და მისი პრაქტიკული ღირებულება.

პირველ ნაწილში მოცემულია დეტალების დაზიანებული ზედაპირების აღდგენისათვის დადუღების ტექნოლოგიის მოკლე აღწერა და მოცემულია დადუღების მეთოდების კლასიფიკაცია. განხილულია საშემდუღებლო მასალების შერჩევის საკითხი, რომლებიც გამოიყენება აღსადგენი დეტალების დადუღებისას, საჭირო ხარისხის დადუღებული ფენის მისაღებად. ხარისხიანი ფენის მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ბზარის ტიპის დეფექტების და ზედაპირის უსწორობების თავიდან აცილება. წარმოდგენილია ცივი და ცხელი ბზარების ტიპის დეფექტების წარმოქმნის თავიდან აცილების გზები.

დადუღებული ფენის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოიყენებენ პლასტიკურ დეფორმირებას გადიდებულ ტემპერატურებზე. თერმომექანიკური

დამუშავების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს დადუღებული ფენის გრძივი მოგორვა ხისტი ცილინდრული გორგოლაჭით. ტექნოლოგიური პროცესის განხორციელება დამოკიდებულია დეფორმირების ტემპერატურის შერჩევაზე და ფორმის ცვლილების ძალოვანი პარამეტრების ცოდნაზე.

ვ.ი.მახნენკოს, ა.ა.ორლოვის, ნ.ი.ბოიკოს ნაშრომებზე დაყრდნობით, ნ.ნ.რიკალინის ცნობილი მეთოდური მიდგომების საფუძველზე, მიღებულია რიგი ამონახსნებისა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია პლასტიკური დეფორმაციის ზონებში დადუღებული ლითონის ტემპერატურის განსაზღვრა. დეფორმაციის ზონაში დადუღებული ლილვაკის ტემპერატურა განისაზღვრება საყოველთაოდ ცნობილი ა.ა.ორლოვის განტოლების მიხედვით, სქელკედლიანი ან მთლიანი ცილინდრების დადუღებასთან მისადაგებით. დეტალის დეფორმაციის ზონაში დადუღებული ლითონის ნებისმიერი წერტილის ტემპერატურა, სითბოს წყაროს მოქმედების შეწყვეტისთანავე, განისაზღვრება ნ.ნ.რიკალინის ფორმულით.

ლითონების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გაანგარიშების ამოცანების გადაწყვეტა ჩვეულებრივ ხდება პლასტიკურობის თეორიაში მიღებული ერთ-ერთი სხეულის მოდელის საფუძველზე (უფრო ხშირად, ხისტი - იდეალურად პლასტიკური, ზოგჯერ დრეკადი - იდეალურად პლასტიკური ან ხისტ-განმტკიცებადი სხეულისა). დ.ხ.კასრამის ნაშრომში მოცემულია დეფორმირებისადმი წინააღმდეგობის გაანგარიშება დადუღებული ზადაპირების თერმომექანიკური დამუშავებისას. განხილულია დეფორმაციის კერაში ძაბვების განსაზღვრის ერთგანზომილებიანი ამოცანა ბრტყელი კვეთების ჰიპოთეზის საფუძველზე. ითვლება, რომ ნორმალური ძაბვები განივ კვეთში მუდმივია, დეფორმირებული მდგომარეობა ბრტყელია. დეფორმაციის კერაში პლასტიკურობის პირობა ჩაწერილია ე.წ. იძულებითი დენადობის ზღვრის გამოყენებით შემდეგი სახით $K = \beta \sigma_T$, აქ σ_T - საბაზო_დენადობის ზღვარია, $\beta = 1-1,5$ - ლოდეს კოეფიციენტი.

რადგან ასეთ შემთხვევაში მდგომარეობის განტოლებებში არ შედის დეფორმაციის სიჩქარეები, ეს ამონახსნები არ იძლევა საშუალებას ავსახოთ მადეფორმირებელი იარაღის მოძრაობის სიჩქარე დადუღებული ფენის ფორმის ცვლილების ძალვაზე და მის დამაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე.

ეს გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ლითონი დეფორმირდება მაღალ ტემპერატურებზე და ძაბვებზე. ასეთ შემთხვევაში, დეფორმირების შედარებით მცირე დროის მიუხედავად, არსებითი მნიშვნელობა აქვს ლითონის სიბლანტეს და ამიტომ ლითონების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გაანგარიშებები უნდა ეფუძნებოდეს მდგომარეობის განტოლებებს, რომლებიც შეიცავენ დეფორმაციის სიჩქარეებს, ე.ი. განტოლებებს, რომლებიც ასახავენ ლითონების რეონომიულ თვისებებს - ცოცვადობის თეორიის განტოლებებს.

რეოლოგიური მოდელები ლითონების ფორმის პლასტიკური ცვლილების ტექნოლოგიური ამოცანების აღწერისათვის გამოყენებულია გ.გენკის, ა.ა.ილიუშინის,


ა.ი.იშლინსკის, ნ.ნ.მალინინის, კ.ი.რომანოვის, ო.ზენკოვიჩის, ნ.კრისტესკუს, ს.ტანგას, დ.დურბანის და სხვათა ნაშრომებში.

მეორე ნაწილში განხილულია დადუღებული ფენის მოგორვის ერთგანზომილებიანი ამოცანა ცოცვადობის - განმტკიცების თეორიის საფუძველზე. მასალის მდგომარეობის განტოლება მიიღება შემდეგი სახით:

$$\sigma_e = a \xi_e^m \kappa^n \quad (1)$$

სადაც $\kappa = \int \xi_e dt$ - უდკვისტის პარამეტრია, σ_e - ექვივალენტური ძაბვაა, ξ_e - დეფორმაციის ექვივალენტური სიჩქარეა, a, m, n - მასალის მუდმივების განსაზღვრული ტემპერატურისას.

განხილულია მასალის დეფორმირება აბსოლუტურად ხისტი ცილინდრული სხეულის (გორგოლაჭის) ზემოქმედებით, რომელიც აწარმოებს ბრტყელპარალელურ მოძრაობას ნახაზის სიბრტყეში (ნახ.1). დეფორმირებადი მასალა იმყოფება ხისტ ზედაპირზე. აღვნიშნოთ გორგოლაჭის ცენტრის გადაადგილების სიჩქარე v_0 -ით, ხოლო ბრუნვის კუთხური სიჩქარე - ω -ით. ითვლება, რომ ისინი მუდმივი სიდიდეებია დროში.



ნახ.1 მოგორვის სქემა

R -გორგოლაჭის რადიუსი, Δh -ფენის სისქის ცვლილება, h_0 -გაგლინული (ნაგლინი) ფენის სისქე, α_0 - მაქსიმალური კონტაქტის კუთხე, α - m წერტილის კუთხური კოორდინატი, ω -გორგოლაჭის ბრუნვის კუთხური სიჩქარე, \vec{V}_0 - გორგოლაჭის ცენტრის გადაადგილების სიჩქარის ვექტორი, \vec{V}_m -კონტაქტის ზედაპირზე m წერტილის გადაადგილების სიჩქარის ვექტორი, \vec{V}_{m0} -გორგოლაჭის ცენტრის მიმართ m წერტილის ბრუნვის სიჩქარის ვექტორი.

დეფორმაციის კერაში მასალის გორგოლაქთან კონტაქტის ზედაპირზე ნებისმიერი წერტილის გადაადგილების სიჩქარის კომპონენტები ნაჩვენებია ნახ.1-ზე:

$$v_y = v_0 - \omega R \cos \alpha; v_z = -\omega R \sin \alpha. \quad (2)$$

ნავარაუდევია, რომ მასალის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა იცვლება მხოლოდ y კოორდინატის მიმართ. მაშინ ელემენტარული მოცულობის წონასწორობის განტოლებას აქვს სახე:

$$\frac{d\sigma_y}{dy} + \frac{\sigma_y + p}{h} \operatorname{tg} \alpha + \frac{q - q_1}{h} = 0, \quad (3)$$

$$\sigma_z = p - q \operatorname{tg} \alpha, \quad (4)$$

სადაც σ_y, σ_z - ძაბვების კომპონენტებია, p, q - შესაბამისად, ხახუნის ძალების წნევა და ინტენსივობაა მასალის გორგოლაქთან კონტაქტის ზედაპირზე, q_1 - მასალის ხისტ ზედაპირთან ხახუნის ძალთა ინტენსივობაა.

ექვივალენტური ძაბვა σ_e მიახლოებით გაიანგარიშება როგორც:

$$\sigma_e = \sigma_y - \sigma_z. \quad (5)$$

ამოხსნის გამარტივებისათვის მიიღება, რომ მასალის გორგოლაქთან კონტაქტის ზედაპირზე ხახუნი ემორჩილება კულონის კანონს $q = \mu p$, ამასთან, პროპორციულობის კოეფიციენტი μ მუდმივია კონტაქტის მთელს ზედაპირზე. მასალის ხისტ ზედაპირთან კონტაქტის ზედაპირზე ხახუნის ძალთა ინტენსივობა მიიღება როგორც მაქსიმალური მხევი ძაბვის პროპორციული

$$q_1 = \chi \tau_{\max} = \chi (\sigma_y - \sigma_z) / 2 = \chi \sigma_e / 2, \quad (6)$$

სადაც χ - მუდმივი პროპორციულობის კოეფიციენტია. როცა $\chi = 1$, ადგილი აქვს მიწებებს.

მარტივი გარდაქმნების შემდეგ დიფერენციალური განტოლება (3) წარმოდგენილია სახით:

$$\frac{d\sigma_y}{d\alpha} + \psi_1(\alpha) \sigma_y = \psi_2(\alpha), \quad (7)$$

სადაც შემოღებულია აღნიშვნები:

$$\begin{aligned}\psi_1(\alpha) &= \frac{1}{h_0/R + 1 - \cos \alpha} \left(\sin \alpha + \frac{\sin \alpha + \mu \cos \alpha}{1 - \mu \operatorname{tg} \alpha} \right), \\ \psi_2(\alpha) &= \frac{1}{h_0/R + 1 - \cos \alpha} \left(\frac{\sin \alpha + \mu \cos \alpha}{1 - \mu \operatorname{tg} \alpha} + \frac{\chi}{2} \cos \alpha \right) \sigma_e.\end{aligned}\quad (8)$$

(7) განტოლების ინტეგრირებისათვის გვაქვს სასაზღვრო პირობა: $\alpha = 0, \sigma_y = 0$.
მაშინ განტოლების ამონახსნი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\sigma_y = \exp\left(-\int_0^\alpha \psi_1 d\alpha\right) \int_0^\alpha \psi_2 \exp\left(\int_0^\alpha \psi_1 d\alpha\right) d\alpha. \quad (9)$$

გრძივი მიმართულებით დეფორმაციის სიჩქარისათვის და დეფორმაციის ექვივალენტური სიჩქარისათვის გვაქვს:

$$\xi_y = \omega \operatorname{tg} \alpha, \xi_e = 2\omega \operatorname{tg} \alpha / \sqrt{3}. \quad (10)$$

უდკვისტის პარამეტრს, $dt = d\alpha/\omega$. თანაფარდობის გათვალისწინებით, აქვს სახე: $\kappa = -2 \ln|\cos \alpha|/\sqrt{3}$. ასეთ შემთხვევაში ექვივალენტური ძაბვა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\sigma_e = a(2/\sqrt{3})^{m+n} \omega^m \operatorname{tg}^m \alpha (-\ln|\cos \alpha|)^n.$$

წნევა მასალის გორგოლაქთან კონტაქტის ზედაპირზე განისაზღვრება თანაფარდობით: $p = (\sigma_y - \sigma_e)/(1 - \mu \operatorname{tg} \alpha)$. დეფორმაცია განივი მიმართულებით ტოლია:

$$\varepsilon_y = \int_0^t \xi_y dt + \varepsilon_y^0 = -\ln|\cos \alpha| + \varepsilon_y^0. \quad (11)$$

აქ ε_y^0 – ნარჩენი დეფორმაციაა დადულების შემდეგ.

იმისათვის, რომ მთლიანად აღმოვფხვრათ ნარჩენი გრძივი დეფორმაციები, საჭიროა პირობის $\ln|\cos \alpha| = \varepsilon_y^0$ შესრულება. შესაბამისი კონტაქტის კუთხე:

$$\alpha_0 = \arccos[\exp(\varepsilon_y^0)]. \quad (12)$$

მეორეს მხრივ, მაქსიმალური კონტაქტის კუთხე (ნახ.1):

$$\alpha_0 = \arcsin\left[2\sqrt{\Delta h/(2R)}\right], \quad (13)$$

სადაც Δh – ფენის სისქის შემცირებაა.

(12) და (13) ფორმულების შედარებისას ვპოულობთ:

$$\Delta h = R[1 - \exp(2\varepsilon_y^0)]/2 . \quad (14)$$

თუ ცნობილია ნარჩენი გრძივი შედუღების დეფორმაციის სიდიდე, მაშინ (12) და (14) ფორმულებით განისაზღვრება მასალის გორგოლაჭთან კონტაქტის მაქსიმალური კუთხე და დეფორმაცია $\varepsilon_z = \Delta h/h$ ელემენტის სისქეზე ფენის მოგორვის ზონაში.

ძალთა მომენტი სიგრძის ერთეულზე, ნახაზის მიმართ პერპენდიკულარული მიმართულებით, იმის ვარაუდით, რომ საკონტაქტო წნევების ძალთა მომენტი გორგოლაჭის ცენტრის მიმართ შეიძლება უგულებელვყოთ, ტოლია:

$$M = \mu R^2 \int_0^{\alpha_0} p d\alpha .$$

სიგრძის ერთეულზე მოქმედი ძალის პროექცია ვერტიკალურ ღერძზე ნახაზის მიმართ პერპენდიკულარული მიმართულებით:

$$P_z = R \int_0^{\alpha_0} (p \cos \alpha - q \sin \alpha) d\alpha .$$

სიგრძის ერთეულზე მოქმედი ძალის პროექცია ჰორიზონტალურ ღერძზე ნახაზის მიმართ პერპენდიკულარული მიმართულებით:

$$P_y = R \int_0^{\alpha_0} (p \sin \alpha + q \cos \alpha) d\alpha .$$

ზემოთ მიღებულ ფორმულებში ხდება ინტეგრალების რიცხვითი გაანგარიშება. ამისათვის შემოღებულია უგანზომილებო სიდიდეები:

$$\bar{\sigma}_e = \frac{\sigma_e}{a\omega^m}, \bar{\sigma}_{y,z} = \frac{\sigma_{y,z}}{a\omega^m}, \bar{p} = \frac{p}{a\omega^m}, \bar{M} = \frac{M}{a\omega^m R^2}, \bar{P}_{y,z} = \frac{P_{y,z}}{a\omega^m R}, \bar{q} = \frac{q}{a\omega^m}, \bar{v}_{y,z} = \frac{v_{y,z}}{\omega R},$$


$$\bar{\psi}_2(\alpha) = \psi_2(\alpha)/(a\omega^m), \bar{\xi}_{e,y} = \frac{\xi_{e,y}}{\omega}, \bar{\Delta h} = \frac{\Delta h}{R}, \lambda = \frac{h_0}{R} .$$

სამაგალითოდ, ჩატარებული იქნა მასალის დეფორმირების გაანგარიშება მუდმივების შემდეგ მნიშვნელობებისათვის:
 $m = 0,147; n = 0,157; \mu = 0,3; \chi = 1; h_0 / R = 0,1$. ნარჩენი დეფორმაციის სიდიდე მიიღებოდა $\varepsilon_y^0 = -8,7 \cdot 10^{-3}$. სიდიდე $\Delta h / R = 8,7 \times 10^{-3}$. ნახ.2-ზე ნაჩვენებია


დეფორმაციის კერაში დაბრუნებისა და ექვივალენტური დაბრუნების კომპონენტების უგანზომილებო სიდიდეების განაწილება. როგორც ნახ.2-დან ჩანს, ღერძული მიმართულებით ზაბრუნები დადებითია, ამიტომ ნარჩენი გამჭიმვი დაბრუნები შედუღების შემდეგ გაიზრდება ნაკერის მოგორვისას.

ნახ.3-ზე ნაჩვენებია ნარჩენი დეფორმაციის ცვლილება გრძივი მიმართულებით, ხოლო ნახ.4-ზე - კონტაქტური წნევის უგანზომილებო სიდიდის განაწილება. გორგოლაჭზე მოქმედი ძალოვანი ფაქტორების სიდიდეები ტოლია: $\bar{P}_y = 4.1 \times 10^{-3}$, $\bar{P}_z = 0.011$, $\bar{M} = 3.4 \times 10^{-3}$. ნახ.5-ზე მოცემულია ძალებისა და მომენტის უგანზომილებო მნიშვნელობების ცვლილების გრაფიკები კონტაქტის კუთხის მიხედვით. ამ გრაფიკებით შეიძლება დავადგინოთ დეფორმირების ძალებისა და მომენტის მნიშვნელობები და განვსაზღვროთ ტექნოლოგიური მოწყობილობის საჭირო სიმძლავრე.


განგარიშება გვიჩვენებს, რომ შეიძლება შეირჩეს პარამეტრები μ და λ ისე, რომ მნიშვნელოვნად იქნას შემცირებული დაბრუნები y ღერძის მიმართულებით (ნახ.6). λ -ს განსაზღვრული მნიშვნელობებისას, q ხახუნის ძალები იცვლიან მიმართულებას კონტაქტის ზედაპირის მცირე უბანზე.




ნახ.2 დეფორმაციის კერაში დაბრუნების კომპონენტების და ექვივალენტური დაბრუნების განაწილება




ნახ.3 ნარჩენი დეფორმაციის ცვლილება ფენის ღერძული მიმართულებით



ნახ.4 გორგოლაქზე კონტაქტური წნევის განაწილება



ნახ.5 გორგოლაქზე მოქმედი ძალები და მომენტი



ნახ.6 დეფორმაციის კერაში ძაბვებისა და ექვივალენტური

ძაბვის კომპონენტების განაწილება

მნიშვნელობებისათვის: $\mu=0,3$; $\lambda=0,5$.

ამრიგად, ერთგანზომილებიანი ამოცანის შემთხვევაში მიღებულია შედარებით ზოგადი ფორმულები კონტაქტის ზედაპირზე დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის, წნევისა და ხახუნის ძალების, გორგოლაჭზე მოქმედი ძალებისა და მომენტის გაანგარიშებისათვის.

მესამე ნაწილში განიხილება დადუღებული ფენის პლასტიკური დეფორმირების ორგანზომილებიანი ამოცანა ცილინდრული გორგოლაჭით მოგორვისას, რომელიც ასრულებს ბრტყელპარალელურ მოძრაობას (x, z) სიბრტყეში. გამოიყენება მართკუთხა კოორდინატთა სისტემა x, y, z . განიხილება ბრტყელი დეფორმირება და ითვლება, რომ დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა არ არის დამოკიდებული y კოორდინატზე. გადაადგილებათა სიჩქარეების კომპონენტები დეფორმაციის კერაში: $v_z = v_z(x, z), v_x = v_x(x, z), v_y = 0$. ძაბვების ტენზორის კომპონენტები $\sigma_{ij} = \sigma_{ij}(x, z); i, j = x, y, z; \tau_{zy} = 0, \tau_{xy} = 0$. როგორც სრული დეფორმაციები მიიღება ცოცვადობის დეფორმაციები.

განსახილველ შემთხვევაში დეფორმაციების სიჩქარეების კომპონენტები გაიანგარიშება ფორმულებით:

$$\xi_x = \partial v_x / \partial x, \xi_z = \partial v_z / \partial z, \xi_y = 0, \eta_{xz} = \partial v_x / \partial z + \partial v_z / \partial x . \quad (15)$$

მასალის უკუმშველობის პირობას აქვს სახე:

$$\partial v_x / \partial x + \partial v_z / \partial z = 0 . \quad (16)$$

ექვივალენტური დეფორმაციის სიჩქარე და უდკვისტის პარამეტრები ტოლია:

$$\xi_e = 2 / \sqrt{3} \sqrt{(\partial v_x / \partial x)^2 + (\partial v_x / \partial z + \partial v_z / \partial x)^2 / 4} , \quad \kappa = \int \xi_e / v_x dx . \quad (17)$$

ძაბვების ტენზორის კომპონენტები გაიანგარიშება სენ-ვენან-ლევე-მიზესის დამოკიდებულებებით: $\sigma_{ij} = \sigma_0 \delta_{ij} + 2\sigma_e \xi_{ij} / (3\xi_e)$, სადაც: σ_0 – საშუალო ძაბვაა $\sigma_0 = \sigma_{ii} / 3; \delta_{ij}$ – კრონეკერის სიმბოლო.

წონასწორობის დიფერენციალურ განტოლებებს აქვს სახე:

$$\left(\frac{\partial v_x}{\partial z} + \frac{\partial v_z}{\partial x} \right) \frac{\partial^2}{\partial z^2} \left(\frac{\sigma_e}{\xi_e} \right) + \frac{\sigma_e}{\xi_e} \left(\frac{\partial^3 v_x}{\partial z^3} + \frac{\partial^3 v_z}{\partial x \partial z^2} - \frac{\partial^3 v_x}{\partial x^2 \partial z} - \frac{\partial^3 v_z}{\partial x^3} + 4 \frac{\partial^3 v_x}{\partial z \partial x^2} \right) - \left(\frac{\partial v_x}{\partial z} + \frac{\partial v_z}{\partial x} \right) \frac{\partial^2}{\partial x^2} \left(\frac{\sigma_e}{\xi_e} \right) + 4 \frac{\partial^2}{\partial z \partial x} \left(\frac{\sigma_e}{\xi_e} \right) \frac{\partial v_x}{\partial x} = 0 \quad (18)$$

$$\frac{\partial \sigma_0}{\partial x} + \frac{2}{3} \frac{\partial}{\partial x} \left(\frac{\sigma_e}{\xi_e} \right) \frac{\partial v_x}{\partial x} + \frac{1}{3} \frac{\sigma_e}{\xi_e} \left(2 \frac{\partial^2 v_x}{\partial x^2} + \frac{\partial^2 v_x}{\partial z^2} + \frac{\partial^2 v_z}{\partial x \partial z} \right) + \frac{1}{3} \frac{\partial}{\partial z} \left(\frac{\sigma_e}{\xi_e} \right) \left(\frac{\partial v_x}{\partial z} + \frac{\partial v_z}{\partial x} \right) = 0$$

მე (18) სისტემაში შემავალი განტოლებები, (1) მდგომარეობის განტოლების, (17) დამოკიდებულებების გათვალისწინებით, წარმოადგენენ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებებს კერძო წარმოებულებში, გადაადგილების სიჩქარეებისა და საშუალო ნორმალური ძაბვის მიმართ.

დიფერენციალური განტოლებების ინტეგრირებისათვის გვაქვს სასაზღვრო პირობები: $z = 0, v_z = 0; v_x = 0$. მასალის გორგოლაჰთან კონტაქტის ზედაპირზე გადაადგილების სიჩქარეები ტოლია: $(z, x) \in L; v_z = \omega R \sin \alpha, v_x = v_0 - \omega R \cos \alpha$, სადაც L - წრეწირის რკალია ცენტრალური კუთხით α_0 , $0 \leq \alpha \leq \alpha_0$; R - გორგოლაჰის რადიუსია. გვერდით ზედაპირზე $x = 0, x = a$ გვაქვს პირობა - x , ღერძის მიმართულებით ჯამური ძალის ნულის ტოლობა $\int \sigma_x dz = 0$.

სასაზღვრო პირობების მქონე კერძო წარმოებულებიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების ინტეგრირება, უნდა ვაწარმოოთ რიცხვითი მეთოდებით. ფართოდაა გავრცელებული სხვაობების მეთოდები. გამოიყენება ცენტრალური სასრული სხვაობების სქემა იტერაციული პროცესის გამოყენებით. ვირჩევთ ნულოვან მიახლოებას გადაადგილების სიჩქარისათვის v_z (ან v_x), უკუმშველობის პირობიდან განისაზღვრება გადაადგილების სიჩქარე v_x (ან v_z), განვსაზღვრავთ ექვივალენტურ დეფორმაციის სიჩქარეს, უდკვისტის პარამეტრს და წონასწორობის განტოლებიდან ვპოულობთ საშუალო ნორმალურ ძაბვას და გადაადგილების სიჩქარეს v_z (ან v_x). იტერაციის ყოველ ბიჯზე ხდება გადაადგილების სიჩქარის მოცემული და მიღებული მნიშვნელობების შედარება.

ამოცანის რიცხვითი ამოხსნისათვის გამოიყენება ზემოთ მოყვანილი უგანზომილებო სიდიდეები, ასევე სიდიდეები $\bar{x} = x/h_0, \bar{z} = z/h_0$ (h_0 - დადულებული ფენის სიმაღლეა დეფორმაციამდე). დეფორმაციის სიჩქარეების კომპონენტებს, ექვივალენტურ დეფორმაციის სიჩქარეს, უდკვისტის პარამეტრს და მდგომარეობის განტოლებას უგანზომილებო სიდიდეებში აქვს სახე:

$$\bar{\xi}_x = \frac{1}{\lambda} \frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}}, \bar{\xi}_z = \frac{1}{\lambda} \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{z}}, \bar{\eta}_{xz} = \frac{1}{\lambda} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}} \right),$$

$$\bar{\xi}_e = 2/(\lambda\sqrt{3}) \sqrt{(\partial \bar{v}_x / \partial \bar{x})^2 + (\partial \bar{v}_x / \partial \bar{z} + \partial \bar{v}_z / \partial \bar{x})^2 / 4}, \bar{\kappa} = \lambda \int \bar{\xi}_e / \bar{v}_x d\bar{x}, \bar{\sigma}_e = \bar{\xi}_e^m \bar{\kappa}^n. \quad (19)$$

შემოღებულია აღნიშვნა $\psi = \bar{\sigma}_e / \bar{\xi}_e$. (19) თანაფარდობების გამოყენებისას, ψ ფუნქციისათვის გვაქვს:

$$\psi = \left(\frac{2}{\sqrt{3}}\right)^{m+n-1} \lambda^{1-m} \left[\left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}}\right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}}\right)^2 \right]^{\frac{m-1}{2}} \left\{ \int \left[\left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}}\right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}}\right)^2 \right]^{\frac{1}{2}} / \bar{v}_x d\bar{x} \right\}^n . \quad (20)$$

(20) განტოლების მარჯვენა ნაწილში ინტეგრალის გამოსათვლელად შემოღებულია აღნიშვნა:

$$\varphi(\bar{x}, \bar{z}) = \int \left[\left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}}\right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}}\right)^2 \right]^{\frac{1}{2}} / \bar{v}_x d\bar{x} . \quad (21)$$

$\varphi(\bar{x}, \bar{z})$ ფუნქციისათვის გვაქვს დიფერენციალური განტოლება:

$$\frac{\partial \varphi}{\partial \bar{x}} = \left[\left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}}\right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}}\right)^2 \right]^{\frac{1}{2}} / \bar{v}_x . \quad (22)$$

(21) გამოსახულების გათვალისწინებით, ψ ფუნქცია მიიღებს სახეს:


$$\psi = \left(\frac{2}{\sqrt{3}}\right)^{m+n-1} \lambda^{1-m} \left[\left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}}\right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}}\right)^2 \right]^{\frac{m-1}{2}} \varphi^n(\bar{x}, \bar{z}) . \quad (23)$$

ზემოთ მიღებული აღნიშვნების გამოყენებისას, (18) დიფერენციალური განტოლებები ჩაიწერება ფორმაში:

$$\left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}}\right) \left(\frac{\partial^2 \psi}{\partial \bar{z}^2} - \frac{\partial^2 \psi}{\partial \bar{x}^2}\right) + 4 \frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}} \frac{\partial^2 \psi}{\partial \bar{z} \partial \bar{x}} + \psi \left(\frac{\partial^3 \bar{v}_x}{\partial \bar{z}^3} + \frac{\partial^3 \bar{v}_z}{\partial \bar{x} \partial \bar{z}^2} - \frac{\partial^3 \bar{v}_z}{\partial \bar{x}^3} + 3 \frac{\partial^3 \bar{v}_x}{\partial \bar{z} \partial \bar{x}^2}\right) = 0 \quad (24)$$

$$\frac{\partial \bar{\sigma}_0}{\partial \bar{x}} + \frac{2}{3\lambda} \frac{\partial \psi}{\partial \bar{x}} \frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{x}} + \frac{1}{3\lambda} \psi \left(2 \frac{\partial^2 \bar{v}_x}{\partial \bar{x}^2} + \frac{\partial^2 \bar{v}_x}{\partial \bar{z}^2} + \frac{\partial^2 \bar{v}_z}{\partial \bar{x} \partial \bar{z}} \right) + \frac{1}{3\lambda} \frac{\partial \psi}{\partial \bar{z}} \left(\frac{\partial \bar{v}_x}{\partial \bar{z}} + \frac{\partial \bar{v}_z}{\partial \bar{x}} \right) = 0$$

კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის სხვაობითი სქემის აგება დაფუძნებულია ბადის შეყვანაზე განსახილველ სივრცეში (ნახ.7). ბადის კვანძები საანგარიშო წერტილებს წარმოადგენს.



ნახ.7 ინტეგრირების არის დაყოფის მართკუთხა ბადე

სასრულ სხვაობებში ძირითად განტოლებებს აქვთ სახე:

$$\varphi_{i,j} = \varphi_{i-1,j} + \Delta \bar{x} \left[\left(\frac{\bar{v}_{xi+1,j} - \bar{v}_{xi-1,j}}{2\Delta \bar{x}} \right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\bar{v}_{xi,j+1} - \bar{v}_{xi,j-1}}{2\Delta \bar{z}} + \frac{\bar{v}_{zi+1,j} - \bar{v}_{zi-1,j}}{2\Delta \bar{x}} \right)^2 \right] \frac{1}{\bar{v}_{xi,j}},$$

$$\psi_{i,j} = \left(\frac{2}{\sqrt{3}} \right)^{m+n-1} \lambda^{1-m} \left[\left(\frac{\bar{v}_{xi+1,j} - \bar{v}_{xi-1,j}}{2\Delta \bar{x}} \right)^2 + \frac{1}{4} \left(\frac{\bar{v}_{xi,j+1} - \bar{v}_{xi,j-1}}{2\Delta \bar{z}} + \frac{\bar{v}_{zi+1,j} - \bar{v}_{zi-1,j}}{2\Delta \bar{x}} \right)^2 \right]^{\frac{m-1}{2}} \varphi_{i,j},$$

$$\begin{aligned} \bar{v}_{xi,j} = & \left\{ \frac{\bar{\sigma}_{0i+1,j} - \bar{\sigma}_{0i-1,j}}{2\Delta \bar{x}} + \frac{1}{6\lambda \Delta \bar{x}^2} (\psi_{i+1,j} - \psi_{i-1,j})(\bar{v}_{xi+1,j} - \bar{v}_{xi-1,j}) + \frac{\psi_{i,j}}{3\lambda} \left[2 \frac{\bar{v}_{xi+1,j} + \bar{v}_{xi-1,j}}{\Delta \bar{x}^2} + \right. \right. \\ & \left. \frac{\bar{v}_{xi,j+1} + \bar{v}_{xi,j-1}}{\Delta \bar{z}^2} + \frac{1}{4\Delta \bar{x} \Delta \bar{z}} (\bar{v}_{zi+1,j+1} - \bar{v}_{zi-1,j+1} - \bar{v}_{zi+1,j-1} + \bar{v}_{zi-1,j-1}) \right] + \\ & \left. \frac{1}{12\lambda} \frac{\psi_{i,j+1} - \psi_{i,j-1}}{\Delta \bar{z}} \left(\frac{\bar{v}_{xi,j+1} - \bar{v}_{xi,j-1}}{\Delta \bar{z}} + \frac{\bar{v}_{zi+1,j} - \bar{v}_{zi-1,j}}{\Delta \bar{x}} \right) \right\} / \left[\frac{2}{3\lambda} \psi_{i,j} \left(\frac{2}{\Delta \bar{x}^2} + \frac{1}{\Delta \bar{z}^2} \right) \right] \end{aligned} \quad (25)$$

$$\begin{aligned}
& \left(\frac{\bar{v}_{xi,j+1} - \bar{v}_{xi,j-1}}{2\Delta\bar{z}} + \frac{\bar{v}_{zi+1,j} - \bar{v}_{zi-1,j}}{2\Delta\bar{x}} \right) \left(\frac{\psi_{i,j+1} - 2\psi_{i,j} + \psi_{i,j-1}}{\Delta\bar{z}^2} - \frac{\psi_{i+1,j} - 2\psi_{i,j} + \psi_{i-1,j}}{\Delta\bar{x}^2} \right) + \\
& \frac{1}{2\Delta\bar{x}^2 \Delta\bar{z}} (\bar{v}_{xi+1,j} - \bar{v}_{xi-1,j}) (\psi_{i+1,j+1} - \psi_{i+1,j-1} - \psi_{i-1,j+1} + \psi_{i-1,j-1}) + \\
& \psi_{i,j} \left[\frac{\bar{v}_{xi,j+2} - 2\bar{v}_{xi,j+1} + 2\bar{v}_{xi,j-1} - \bar{v}_{xi,j-2}}{2\Delta\bar{z}^3} - \frac{\bar{v}_{zi+2,j} - 2\bar{v}_{zi+1,j} + 2\bar{v}_{zi-1,j} - \bar{v}_{zi-2,j}}{2\Delta\bar{x}^3} + \right. \\
& \left. \frac{\bar{v}_{zi+1,j+1} - \bar{v}_{zi-1,j+1} - 2\bar{v}_{zi+1,j} + 2\bar{v}_{zi-1,j} + \bar{v}_{zi+1,j-1} - \bar{v}_{zi-1,j-1}}{2\Delta\bar{x}\Delta\bar{z}^2} + \frac{3}{2\Delta\bar{x}^2 \Delta\bar{z}} (\bar{v}_{xi+1,j+1} - \bar{v}_{xi+1,j-1} - \right. \\
& \left. 2\bar{v}_{xi,j+1} + 2\bar{v}_{xi,j-1} + \bar{v}_{xi-1,j+1} - \bar{v}_{xi-1,j-1}) \right] = 0
\end{aligned}$$

სასაზღვრო პირობები: $\bar{v}_{xi,j} = 0; \bar{v}_{zi,j} = 0; (i = 1, 2, \dots, m; j = 1)$
 $\bar{v}_{xi,j} = \bar{v}_0 - \cos \alpha_i, \bar{v}_{zi,j} = \sin \alpha_i; (i, j \in L), \quad \int \sigma_x dl = 0; (i = 1, j \in [1, \dots, n])$

განხილულია სხვაობითი სქემის კრებადობის, აპროქსიმაციის და მდგრადობის საკითხები.

დისერტაციის მეოთხე ნაწილში განხილულია ბრტყელი ზედაპირების დადუღებით აღდგენის შესაძლებლობების ექსპერიმენტალური კვლევა. როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, გაცვეთილი დეტალების დადუღებით აღდგენისას ცდილობენ მიიღონ ისეთი ზედაპირები, რომელთა ცვეთამედეგობა არანაკლები იქნება, ვიდრე ახალი დეტალებისა. მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის, განსაკუთრებით მაღალნახშირბადიანი და მაღალი სიმტკიცის ფოლადების დადუღებით აღდგენისას. უდეფექტო ძირითადი ლითონის ტოლფასი შენადული შეერთების მიღება, მაღალცვეთამედეგობასთან ერთად, ზოგჯერ ვერ ხერხდება


არსებობს შენადულ შეერთებაში ბზარის ტიპის დეფექტების თავიდან აცილების უამრავი გზა (წინასწარი შეთბობა, შედუღების შემდეგში თერმული დამუშავება და სხვა). მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, მრავალმხრივი მცდელობის მიუხედავად, შენადულ შეერთებაში მაინც რჩება დეფექტები ან მათი წარმოშობის კერები. დადუღება-შედუღების შემდეგ ხშირად მიმართავენ შედუღების ძაბვებისა და დეფორმაციების მოხსნის სხვადასხვა ხერხებს, რომლებიც ამავდროულად დადუღებული ლითონის ზედაპირს ამტკიცებენ.

დისერტაციის ამ თავში ასევე განხილულია ბრტყელი ზედაპირების დადუღებით აღდგენისას, შენადულ შეერთებაში ბზარის ტიპის დეფექტების ზომები, რაოდენობის მინიმუმამდე შემცირების გზები და ამ დეფექტების ან მათი წარმოშობის კერების პლასტიკური დეფორმაციის საშუალებით აღმოფხვრის გზები.

კვლევისათვის შერჩეული იქნა ფლ.45 და ფლ.60. დადუღებით აღდგენისას ექსპერიმენტული კვლევისათვის შერჩეული იქნა შედუღება ფლუსის საფარში, როგორც ხარისხიანი დადუღებული ლითონის მიღების საუკეთესო ხერხი. საშემდუღებლო მასალები - მავთული СВ-08ХТ2СМФ და ფლუსი АН-348А,

შერჩეული იქნა სათანადო ცვეთამდეგობისა და დეფექტების წარმოშობისადმი წინააღმდეგობის მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით. კვლევის პროცესში დადგენილი იქნა შედუღების ოპტიმალური რეჟიმები და დადუღების ტექნოლოგია, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს ყოველი მომდევნო დადუღებული ლილვაკით წინას გადაფარვას სანახევროდ მაინც, ძირითადი ლითონის წილის შესამცირებლად დადუღებულში და ამით ბზარებისადმი წინააღმდეგობის ამაღლებას.

ნიმუშები დადუღებული იქნა ერთ და ორ ფენად (ნახ.8,9). ორფენიანი დადუღებული ლითონის შემთხვევაში ბზარების რაოდენობა და ზომები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ერთფენიანში (ნახ.10,11) და დადუღებული ლითონის ზედაპირი უფრო თანაბარია.



ნახ.8 ერთფენიანი დადუღებული ლითონი



ნახ.9 ორფენიანი დადუღებული ლითონი



ნახ.10 ზხარების რაოდენობა და მათი ზომები ერთფენიან დადუღებულ ფოლადში



ნახ.11. ბზარების რაოდენობა და მათი ზომები ორფენიან დადუღებულ ფოლადში

დადუღებულ ლითონში, სადაც ბზარები აღმოჩნდა, ამოჭრილი იქნა სხვადასხვა ზომის ნიმუშები შემდგომი პლასტიკური დეფორმაციისათვის. მეტალოგრაფიული კვლევისათვის ნიმუშები მოიწამლა 4%-იანი აზოტმჟავით.

გამზადებული ნიმუშები გახურებული იქნა ფაზური გარდაქმნის ტემპერატურამდე 650-700°C-მდე ლუმელში და დადუღებული ზედაპირი პლასტიკურად იქნა დამუშავებული გრდემლზე უროთი. როგორც ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, ბზარები მთლიანად გაქრა ცალკეულ დადუღებულ ნიმუშებზე.

ერთ- და ორფენიან ნიმუშებზე, სადაც გავლების რაოდენობა რვას აღემატებოდა, ბზარები მთლიანად არ აღმოიფხვრა დიდი ზომის ნიმუშებზე ტემპერატურის შემცირების გამო 200°C. მაგრამ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის შემდგომ ექსპერიმენტები გაგრძელდა ლაბორატორიულ საგლინავ დგანზე.

ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ დამზადებულ ყველა ნიმუშზე პლასტიკური დეფორმაციის შემდეგ ბზარები აღმოიფხვრა (ნახ.12).



ნახ.12 ნიმუში ბზარების გარეშე პლასტიკური დეფორმაციის შემდეგ

დადუღებული ლითონის მიკროსტრუქტურა პირველ ფენაში - ტროოსტიტია, ლეგირებული ფერიტით, მეორე ფენაში - სორბიტი კოაგულირებული ცემენტიტის შემადგენლობით, სისალით 285-330 HV, ნაკერმიმდებარე ზონის სტრუქტურა კი - ბეინიტია პლასტიკური სორბიტით, სისალით 290-340 HV. ზოგიერთ უბანზე შეიმჩნეოდა მარტენსიტული სტრუქტურა.

მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ნიმუშებში, რომლებიც გახურებული იქნა 650-700°C ტემპერატურულ ინტერვალში და დამუშავდა პლასტიკური დეფორმაციით საგლინავ დგანებზე, ბზარები სრულიად აღმოიფხვრა. ზედაპირული ფენის სტრუქტურა ხელსაყრელია. დადუღებული ლითონის სისაღემ გვაჩვენა, რომ მისი ცვეთამედეგობა გაცილებით მეტია, ვიდრე ფლ.60-ისა. რაც შეეხება უროთი დამუშავებულ ნიმუშებს, ბზარების აღმოფხვრა დამოკიდებულია დადუღებული ლითონის ფართზე (ნიმუშის ზომებზე).

ძირითადი შედეგები და დასკვნები

1. შესწავლილია ბრტყელ ზედაპირზე დადუღებული ფენის ცილინდრული გორგოლაჭით შემოგორვისას პლასტიკური დეფორმაციის ერთგანზომილებიანი ამოცანა, კონტაქტის ზედაპირზე კულონის ხახუნის კანონის გათვალისწინებით. მასალის მდგომარეობის განტოლება შერჩეულია ცოცვადობის თეორიის (განმტკიცების თეორიის) საფუძველზე.
2. არაწრფივი ერთგანზომილებიანი ამოცანის რიცხვითი ანალიზისათვის დამუშავებულია გამოყენებითი პროგრამა Mathcad-ის მათემატიკურ რედაქტორში.
3. გაანგარიშებით დადგენილი იქნა, რომ დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა დეფორმაციის კერაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული λ სიდიდეზე ($\lambda = h_0 / R; h_0, R$ - შესაბამისად, ფენის სისქეა დეფორმაციამდე და გორგოლაჭის რადიუსი) და μ ხახუნის კოეფიციენტზე მასალის გორგოლაჭთან კონტაქტის ზედაპირზე.
4. დადგენილია, რომ λ -ს განსაზღვრული მნიშვნელობებისას ხახუნის ძალები იცვლიან მიმართულებას კონტაქტის ზედაპირის მცირე უბანზე. საკონტაქტო წნევა იღებს მაქსიმალურ მნიშვნელობას კონტაქტის ზედაპირის წერტილში, რომლის კუთხური კოორდინატა $\alpha = 0,05$, შემდეგ კი მცირდება. $\lambda = 0,5$ და $\mu = 0,3$ მნიშვნელობებისას ნორმალური ძაბვა მოგორვის მიმართულებით არსებითად მცირდება და ფაქტიურად ნულის ტოლია.
5. ჩამოყალიბებულია მოგორვისას დადუღებული ფენის არადრეკადი დეფორმირების ორგანზომილებიანი ამოცანა. განმტკიცების თეორიის საფუძველზე მიღებულია არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების ჩაკეტილი სისტემა და ჩაიწერა სასაზღვრო პირობები.
6. კერძო წარმოებულებიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების რიცხვითი ამოხსნისათვის შემოთავაზებულია ბადეების მეთოდი. დიფერენციალური განტოლებების სისტემა და სასაზღვრო პირობები ჩაიწერა სასრულ სხვაობებში. სასაზღვრო პირობები კონტაქტის მრუდწირული ზედაპირის მახლობლად ჩაწერილი იქნა წრფივი ინტერპოლაციის გამოყენებით.
7. დადგენილია, რომ დადუღებულ ლითონში ბზარების რაოდენობა და მათი ზომები დამოკიდებულია დადუღებულ ლითონში ძირითადი ლითონის მონაწილეობის წილზე და ლითონის ქიმიურ შედგენილობაზე.

8. დადუღების შემდგომი პლასტიკური დეფორმაციისათვის გახურების ოპტიმალური ტემპერატურა იმყოფება 650-700⁰C ინტერვალში, რაც შენადული შეერთებისა და დადუღებული ლითონის დეფექტების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. იზრდება დადუღებული ლითონის სიმტკიცე (ცვეთამედეგობა).
9. დადგენილია, რომ პლასტიკური დეფორმაციის პროცესში დადუღებულ ლითონში ბზარების აღმოფხვრის ალბათობა დამოკიდებულია დადუღებული ლითონის ფართზე, დამუშავების სახეზე და მცირდება ტემპერატურის შემცირებისას.
10. დადუღებული ფენის გაანგარიშების დამუშავებული მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნას ტექნოლოგიური პროცესის პარამეტრების განსაზღვრისათვის ბრტყელი ზედაპირების აღდგენისას.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შრომებში

1. Киквидзе О.Г., Тулеугалиева Г.Б., Булекбаева Г.Ж., Бекенова А., Билашова Г. Расчет граничного слоя при пластическом деформировании поверхностей// Georgian Engineering News №4 (Vol. 60).-2011.-pp.51-55
2. Булекбаева Г.Ж., Киквидзе О.Г., Кипиани П.Н., Миндадзе С.О. Пластическая деформация как средство для устранения дефектов типа трещин в сварных соединениях//Kutaisi. BULLETIN OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY №1().- 2016.-pp.
3. Киквидзе О.Г., Булекбаева Г.Ж., Кипиани П.Н. Пластическое деформирование наплавленного слоя на плоской поверхности// Georgian Engineering News №1 (Vol.).-2016.-pp.(53)
4. Кипиани П.Н., Миндадзе С.О., Булекбаева Г.Ж. Разработка энергосберегающей технологии с применением послесварочной пластической деформации при сварке и наплавке высокопрочных сталей. // Междунар. науч. конф.: «Энергетика: региональные проблемы и перспективы развития», 24-25.10.2015. – Кутаиси, 2015, с.234-236.